მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

დაწესებულების შესახებ ინფორმაცია

| | |
|---|---|
| დაწესებულება | შპს დამოუკიდებელი სკოლა „მოძღვარი“ |
| საიდენტიფიკაციო კოდი | 208156261 |
| რეგიონი | თბილისი |
| რაიონი | ისანი-სამგორი |
| მისამართი | ილია ბაზუციძის ქ. N12 |
| საფოსტო ინდექსი | 0137 |
| დაწესებულების ვებ-გვერდი | www. modzgvari.edupage.org |
| დაწესებულების ელ-ფოსტა | skolamodzgvari@yahoo.com |
| ტელეფონი/ფაქსი | 599 559342 |
| დაწესებულების ხელმძღვანელი | |
| სახელი და გვარი | მანანა გაბათაშვილი |
| ტელეფონი | 599 559342 |
| ელ-ფოსტა | skolamodzgvari@yahoo.com |
| დაწესებულებაში მოსწავლეებისა და პედაგოგების რაოდენობა | |
| პედაგოგი | 26 |
| მოსწავლე/სსსმმოსწავლე | 154 / სკოლაში სსსმ მოსწავლე არ ფიქსირდება |
| ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ | |
| გადაწყვეტილების ნომერი | საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის N09 გადაწყვეტილება |
| მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა | 175 |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

დაწესებულება ახორციელებს

დაწყებით ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას ■
საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას ■
საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას ■
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ☐

ინფორმაცია მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| მონიტორინგის განხორციელების საფუძველი | განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება N 766 05.12.2017 |
| მონიტორინგის ჯგუფის წევრები | ქეთევან ბოტკოველი (თავმჯდომარე), ლელა ფიცხელაური (წევრი). |
| ვიზიტისგანხორციელების პერიოდი | 11-12 დეკემბერი 2017 წ. |
| დასკვნის მომზადების თარიღი | 13 დეკემბერი 2017 წ. |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

ავტორიზაციის სტანდარტების შესრულების შემოწმების შედეგად დადგინდა შემდეგი

## I. საგანმანათლებლო პროგრამები

**1.1 სასკოლოსასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას**

| | |
|---|---|
| აღწერა | შპს დამოუკიდებელი სკოლა „მოძღვარის“ მისია შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან, მასში 2017 წელს, რეავტორიზაციის პერიოდში მიღებული რეკომენდაციის საფუძველზე შესულია ცვლილება, რის შემდგომაც:<br><br>„დამოუკიდებელი სკოლა „მოძღვარის“ მისიაა აღზარდოს თავისუფალი, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე პიროვნება, რომელიც მზად იქნება 21-ე საუკუნის გამოწვევების წინაშე;<br>✓ მოსწავლე , რომელიც იქნება წიგნიერი და მოაზროვნე, შემოქმედებითი ,მიზანდასახული და კონკურენტუნარიანი;<br>✓ მოსწავლე, დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერებით;<br>✓ მოსწავლე , რომელმაც იცის კულტურულ ფასეულობათა პატივისცემა; ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და გარემოს წინაშე გაცნობიერებული აქვს თავისი უფლება-მოვალეობები. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................

## მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

| | |
|---|---|
| | სკოლის უმთავრესი მისიაა უწყვეტი ზრუნვა მოსწავლთა პროფესიულ ორიენტაციაზე, მათთვის ისეთი წინაპირობების შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს მომავალი განვითარების გზის სწორად არჩევაში. ამ მისიის მისაღწევად სკოლაში სწავლა-სწავლება დაფუძნებულია კონსტრუქტივისტულ მიდგომებზე.“<br>სკოლის მიერ წარმოდგენილი 2017-2018 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა განხილულია პედაგოგიურ საბჭოზე №1 და დამტკიცებულია დირექტორის მიერ. **(06.09.2017 წ. ბრძანება №129)**<br>წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილებია:<br>• სკოლის მისია;<br>• საათობრივი ბადე;<br>• ინკლუზიური განათლების ზოგადი კონცეფცია;<br>• შეფასების პრინციპები;<br>• გრიფირებული სახელმძღვანელოების ჩამონათვალი;<br>• სკოლის აკადემიური კალენდარი;<br>• გაკვეთილების დაწყება-დასრულების გრაფიკი;<br>• ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელი მომსახურეობის ჩამონათვალი და აღწერილობა;<br>• საგანმანათლებლო, დამხმარე რესურსების ჩამონათვალი.<br><br>სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია სკოლის თითოეული საფეხურის მიზნები და ამოცანები. სასწავლო შინაარსი კი ასახულია მასწავლებლების საგნობრივ და სააღმზრდელო პროგრამებში. მასწავლებლების საქაღალდეებში ინახება თითოეული საგნის ესგ-ის შესაბამისი თემატური გეგმა, რომელიც ხელს უწყობს სკოლის მისიის შესრულებას.<br><br>სკოლაში ისწავლება სამი უცხოური ენა, კერძოდ ინგლისური ენა ( I-XII კლ.) , რუსული |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

**მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა**

| | |
|---|---|
| | ენა (II –XII კლ.) და გერმანული ენა (V- IX კლასებში). საგნებიდან პრიორიტეტი ენიჭება ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკისა და ინგლისური ენის სწავლებას. აღნიშნულ საგნებს ესგ-ს მოთხოვნის გათვალისწინებით 25%-იანი ცვლილების ფარგლებში მომატებული აქვთ საათობრივი დატვირთვა.<br><br>არჩევითი საგნებიდან ისწავლება: X კლასში - ქიმიური ტექნოლოგიები; XI კლასში - შესავალი თანამედროვე ფიზიკაში; XII კლასში - მსოფლიო კულტურა.<br><br>XI კლასში მოსწავლეები გაკვეთილებზე იყოფიან 4 საგანში: გეოგრაფია, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია. XII კლასში კი ქართულში, მათემატიკაში, ინგლისურსა და ისტორიაში. პედაგოგთა განმარტებით აღნიშნული ხელს უწყობს გამოსაშვები გამოცდებისათვის მოსწავლეთა უკეთესად მომზადებს.<br><br>ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება ფაკულტატური სახით მოიცავს საგანს ქართული ცეკვები - (I-VI კლ.) და რელიგიის ისტორია და კულტურა (III-VIII კლ.). როგორც ესგ-ით განსაზღვრული სავალდებულო და არჩევითი საგნებისთვის, ასევე ფაკულტატური საგნებისთვის დასახულია სწავლების მიზნები და ამოცანები, შემუშავებულია თემატურ-კალენდარული გეგმები, შეფასების სისტემა და საჭირო საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი.<br><br>სპორტის სახეობებიდან დაწყებით საფეხურზე განსაზღვრულია ზოგადი ფიზიკური მომზადება (ფიზიკური აღზრდა) ასევე აერობიკა, ხოლო საბაზო და საშუალო საფეხურზე კალათბურთი, მაგიდის ჩოგბურთი და ფრენბურთი.<br><br>ყველა კლასს ჰყავს დამრიგებელი, შემუშავებულია სადამრიგებლო პროგრამები. პროგრამა |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

| | |
|---|---|
| | მოიცავს მოსწავლის სოციალური უნარების, აკადემიური მოსწრების, წახალისებისა და დისციპლინური დარღვევების მონიტორინგს, დამრიგებლების სამოქმედო გეგმებს, კლასის საათების ჩატარების განრიგსა და თემატიკას, მშობლებთან ურთიერთობას, კლასისა და მოსწავლეთა ინდივიდუალური დახასიათების ფორმებს, ექსკურსიის დაგეგმვას, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ანგარიშებს. |
| დადასტურება/დანართი | სასკოლო სასწავლო გეგმა;<br>პედაგოგიური საბჭოს ოქმები;<br>დამრიგებელთა ჩანაწერები;<br>ჩატარებული მუშაობის ანგარიშები;<br>კათედრის სხდომის ოქმები;<br>ინტერვიუები. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-3 მუხლის „ა" პუნქტი |

**1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლაში ფუნქციონირებს შვიდი საგნობრივი კათედრა:<br>• ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა;<br>• მათემატიკის და ისტ-ის კათედრა;<br>• საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრა; |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................

**მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა**

- უცხოური ენების კათედრა;
- საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა;
- სპორტისა და ესთეტიკური აღზრდისა კათედრა;
- დაწყებითი საფეხურის კათედრა (I-VI კლასები).

აღნიშნულ კათედრებში გაერთიანებულია საგნობრივი ჯგუფის ყველა მასწავლებელი. თითოეულ კათედრას შემუშავებული აქვს დებულება. კათედრის დებულებაში გაწერილია: სასკოლო-სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების სწავლება, კლასგარეშე საქმიანობის წარმართვა. სკოლამ წარმოადგინა კათედრების სამუშაო გეგმები; კათედრების სხდომების ოქმები; კათედრის ხელმძღვანელებისა და პედაგოგების ანგარიშები ჩატარებული ღონისძიებებისა და გაწეული სამუშაოს შესახებ.

კათედრებისა და მასწავლებლების პორტფოლიოებში წარმოდგენილია დოკუმენტები - შემაჯამებელი დავალების ნიმუშები და მათი ანალიზები, გაკვეთილის გეგმები, სასწავლო წლის განმავლობაში განხორციელებული ღონისძიებების ამსახველი მასალები, აღნიშნული დოკუმენტების მიზნებში მითითებულია თუ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული რა ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მიღწევას ემსახურებოდა ეს თუ ის აქტივობა.

კათედრების საქაღალდეებში ინახება შეფასების ზოგადი და კონკრეტული სქემები. შეფასების კრიტერიუმები ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის. სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს. მთელი სასწავლო წლის განმავლობაში მოსწავლეები მონაწილეობენ კლასგარეშე და სკოლის გარე სპორტულ თუ შემცნებით ღონისძიებებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებულ ეროვნულ საგნობრივ ოლიმპიადებსა და



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

| | |
|---|---|
| | სხვადასხვა საგანმანათლებლო ორგანიზაციების კონკურსებში. სისტემატიურად ტარდება ექსკურსიები, ვიქტორინები და სხვა, რომლებიც მიზნად ისახავს მოსწავლეთა სააზროვნო და შემოქმედებითი უნარების განვითარებას, რაც საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები. |
| დადასტურება/დანართი | შემაჯამებელი დავალებების ანალიზი;<br>საგნობრივი კათედრების სამუშაო გეგმები;<br>ინტერვიუები;<br>საგნობრივი კათედრების სხდომის ოქმები;<br>პედაგოგთა პორტფოლიოები. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-3 მუხლის „ბ" პუნქტი |

**1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის**

| | |
|---|---|
| აღწერა | სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით ყველა მოსწავლეს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობები აქვს, რაც ასახულია კათედრებზე შემუშავებულ საგნობრივ პროგრამებში. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ იმ მოსწავლეთათვის, რომლებიც სხვებისაგან განსხვავებით საჭიროებენ მეტ დროს სასწავლო გეგმით გათვალისწინებული უნარ-ჩვევების განვითარებისა და ცოდნის ათვისებისათვის პედაგოგები ატარებენ დამატებით მეცადინეობებს. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

| | |
|---|---|
| | ამასთანავე, სკოლას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების კონცეფცია, რომელშიც გათვალისწინებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობა.<br>სკოლას ამ ეტაპზე არ ჰყავს სსსმ მოსწავლე, თუმცა გამოთქვამს მზადყოფნას საჭიროების შემთხვევაში განახორციელოს აღნიშნული მომსახურეობა.<br><br>სკოლას შემუშავებული აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლესთან სასწავლო და სააღმზრდელო მიდგომები და წესები. აღნიშნულ წესში განსაზღვრულია ის მექანიზმები, რომელთა მიხედვითაც სკოლა იმოქმედებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მიღების შემთხვევაში. სასკოლო სასწავლო გეგმაში აღწერილია სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევების შეფასება, დასწრება და გაცდენები, სსსმ მოსწავლის დისტანციური (შინ) სწავლება და მოცემულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების ნიმუშები. |
| დადასტურება/დანართი | სასკოლო სასწავლო გეგმა;<br>ინტერვიუები. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-3 მუხლის „გ" პუნქტი |

**1.4** სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

## მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

**გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის შეფასების სისტემა, ამასთანავე, ქულების გამოანგარიშების წესი, სემესტრული/წლიური შეფასების პრინციპები, რომელიც თანხვედრაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. შემუშავებულია შეფასების სქემები, რუბრიკები საგნების მიხედვით.<br><br>მასწავლებლები საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი აქტივობებით აფასებენ მოსწავლეების მიერ სტანდარტით განსაზღვრულ სწავლის შედეგების მიღწევას; ანალიზებენ შემაჯამებელი დავალების შეფასების შედეგებს, რომლებსაც ასახავენ სკოლის მიერ შემუშავებულ სპეციალურ ფორმაში.<br><br>შერჩევითი წესით შემაჯამებელი დავალებების დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ შემაჯამებელი სამუშაოები ძირითადად წერითი, ღია და დახურულ ბოლოიანი დავალებებისაგან შედგება. ეტაპობრივად კეთდება შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, რომლის დროსაც პედაგოგები აღნიშნავენ, რა პრობლემები წარმოიშვა ამა თუ იმ კონკრეტული შემაჯამებელი დავალების შესრულების დროს და რომელი აქტივობა იძლევა აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრის საშუალებას.<br><br>მოსწავლეები ფასდებიან განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებით. განმავითარებელი შეფასების ნიმუშები წარმოდგენილია თითოეული მოსწავლის პირად საქმეში ჩადებული წლიური კომენტარების სახით. სკოლის შეფასების რუბრიკები ითვალისწინებს მოსწავლეების აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებას. სასწავლო წლის ბოლოს სკოლა აჯილდოებს წარჩინებულ და შემოქმედებითი ნიჭის მქონე მოსწავლეებს. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

| | |
|---|---|
| | დაწყებით საფუძვლად გამოიყენება განმავითარებელი შეფასება.<br><br>სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია წლიური გამოცდები: VIII კლასში -ქართულ ენასა და ლიტერატურაში ; IX კლასში- ინგლისურ ენასა და ბიოლოგიაში; X კლასში- ქიმიასა და ფიზიკაში. წლიური გამოცდის ქულა იანგარიშება საერთო ქულის გამოთვლისას. |
| დადასტურება/დანართი | სასკოლო სასწავლო გეგმა;<br>შეფასების რუბრიკები საგნების მიხედვით;<br>ინტერვიუები;<br>საკლასო ჟურნალები;<br>მოსწავლეთა პირადი საქმეები;<br>გამოცდების განრიგი. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-3 მუხლის „დ" პუნქტი |

**1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით**

| | |
|---|---|
| აღწერა | დაწესებულებას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა მშობლის ინფორმირების წესი, რომელიც ითვალისწინებს სასკოლო ცხოვრებაში მშობლის ჩართულობას. აღნიშნულის მიზნით ტარდება მშობელთა კრებები, სასკოლო აქტივობები, გასვლითი ღონისძიებები, ღია გაკვეთილები, რომლებსაც მასწავლებლებთან ერთად ესწრებიან მშობლებიც.<br><br>სკოლაში მოსწავლის აკადემიური მოსწრების შეფასების შესახებ მშობლის ინფორმირება |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

| | |
|---|---|
| | ხდება კლასის დამრიგებლის მიერ ყოველი კვირის ბოლოს პირადი შეხვედრებისა და სატელეფონო ზარების საშუალებით. კლასის დამრიგებლები სემესტრისა და წლის ბოლოს აცნობენ მშობლებს შეფასების ფურცლებს განმავითარებელი კომენტარებით. ყოველ კვირეულად მშობელს მიეწოდება მიმდინარე აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაცია წერილობით, სურვილისამებრ ელექტრონული ფოსტით ან ტელეფონით. შექმნილია სკოლის ვებ-გვერდი (www. modzgvari.edupage.org) და სკოლის facebook გვერდი, რომლითაც შესაძლებელია სხვადასხვა სიახლის გაცნობა. მიმდინარეობს ელექტრონული ჟურნალის დანერგვა.<br><br>სკოლის სტრატეგიულ გეგმებში გაწერილია მშობელთა აქტიური ჩართულობის მიზნით ერთობლივი პროექტები ჩატარება და ხელშწყობა. |
| დადასტურება/დანართი | სადამრიგებლო პროგრამები;<br>ინტერვიუები;<br>სკოლის ვებ-გვერდი: (www. modzgvari.edupage.org) |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-3 მუხლის „ე" პუნქტი |

**1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი. აღნიშნულის მიზნით შექმნილია მონიტორინგის ჯგუფი, |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

| | |
|---|---|
| | რომელშიც ჩართულია სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის წარმომადგენელი.<br><br>სკოლის სტრუქტურული ერთეულების ანგარიშებიდან და წარმომადგენლებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ სასწავლო წლის განმავლობაში მიმდინარეობს სასწავლო პროცესის მონიტორინგი დირექტორის, ხარისხის მართვის მენეჯერის, საგნის პედაგოგებისა და დამრიგებლების მიერ; გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებით აზრებს უზიარებენ ერთმანეთს, რაც მიზნად ისახავს სწავლა/ სწავლების პროცესში არსებული ხარვეზების აღმოჩენას, მიღებული მონაცემების ანალიზსა და შემდგომ სათანადო რეკომენდაციების განსაზღვრას. სკოლის „SWOT" ანალიზის საფუძველზე განისაზღვრება დაწესებულების ძლიერი მხარეები და სამომავლო პერსპექტივები.<br><br>წლის განმავლობაში პერიოდულად ტარდება სასკოლო საზოგადოების ანონიმური გამოკითხვები, შედეგების ანალიზი კი სასკოლო გეგმის შეფასებას უწყობს ხელს. |
| დადასტურება/დანართი | სტრუქტურული ერთეულების ანგარიშები;<br>სასკოლო გეგმის განხორციელებისა და მონიტორინგის გეგმა;<br>ინტერვიუები;<br>კათედრების სხომების ოქმები;<br>სასკოლო სასწავლო გეგმა;<br>SWOT ანალიზი;<br>გამოკითხვის ანკეტები და შედეგების ანალიზი. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-3 მუხლიმითს |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

| | |
|---|---|
| | „ვ“ პუნქტი |

## II. მატერიალურირესურსი

**2.1** დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი:

| | |
|---|---|
| აღწერა | დამოუკიდებელი სკოლა „მოძღვარი“ მდებარეობს ქ. თბილისში, ილია ბაბუციძის ქ. N12. სკოლა განთავსებულია 3008 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე მდებარე 4 სართულიან შენობა ნაგებობაში, საერთო ფართით 2509,37 კვ.მ. |
| მიწის (უძრავიქონების) საკადასტრო კოდი | N 01.19.33.002.068; |
| დადასტურება/დანართი | ამონაწერით საჯარო რეესტრიდან: N882014264153 - საკადასტრო კოდი N 01.19.33.002.068;<br>შენობის შიდა აზომვითი ნახაზით ("სსიპ ქონების მართვის სააგენტო");<br>ვიზუალური დათვალიერებით. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

| | |
|---|---|
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა.ა" ქვეპუნქტი. |

**ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილია სათანადო ინვენტარით, კერძოდ: ინდივიდუალური მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით**

| | |
|---|---|
| აღწერა | დამოუკიდებელი სკოლა „მოძღვარის" 4 სართულიანი შენობის მეორე და მესამე სართულზე განთავსებულია 12 საკლასო ოთახი, 2 დამხმარე ოთახი კლასების განაყოფებისთვის, 1 ბიბლიოთეკა, დირექტორის 1 კაბინეტი, 1 კომპიუტერების ოთახი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, სამედიცინო ოთახი, 2 სამასწავლებლო, სასადილო დარბაზი, სპორტული დარბაზი 125.17 კვ. მ. და 2 გასახდელი მოსწავლეებისათვის.<br><br>საკლასო ოთახებში განთავსებულია მოსწავლის 168 მაგიდა და სკამი (+ დასაწყობებულია 54 მაგიდა და სკამი), 12 დაფა, კომპიუტერების ოთახში კედელზე დამონტაჟებულია დიდი საპროექციო ეკრანი და განთავსებულია 9 კომპიუტერი. დირექტორის და საქმეთა მმართველის კაბინეტებში დგას 2 კომპიუტერი. დამხმარე ოთახებში განთავსებულია 2 ოვალური მაგიდა. სკოლას მფლობელობაში აქვს 2 პროექტორი, 1 საპროექციო ეკრანი, 2 პრინტერი/კომბაინი, მაგნიტოფონები, 3 პიანინო, ელექტრო პიანინო.<br>საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის N09 გადაწყვეტილების თანახმად, შპს დამოუკიდებელი სკოლა „მოძღვარს" მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 175-ით. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

| | |
|---|---|
| დადასტურება/დანართი | ვიზუალური დათვალიერებით;<br>ნასყიდობის ხელშეკრულებებით;<br>საინვენტარო აღწერილობით;<br>მიღება- ჩაბარების აქტებით;<br>სასაქონლო ზედნადებებით. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა.გ" ქვეპუნქტი. |

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი

| | |
|---|---|
| აღწერა | დამოუკიდებელ სკოლა „მოძღვარს" აქვს სპორტული დარბაზი 125.17 კვ.მ, რომელიც განთავსებულია სკოლის მესამე სართულზე. დაწესებულების ეზოში არის დაახლოებით 450 კვ.მ.-ის სპორტული მოედანი, რომელზეც განთავსებულია კალათბურთის ფარები და სკამები სათადარიგო მოთამაშეებისათვის.. სპორტული მეცადინეობებისთვის დაწესებულებას აქვს შემდეგი ინვენტარი: 4 ჰულა-ჰუპი, 2 კეგლი, 16 კეგლის ბურთი (პლასტმასის), 1 სავარჯიშო მსხალი, 4 ბურთი, 4 ლახტი, კალათბურთის ფარები და ბურთები, ჩოგბურთის მაგიდა, მაგიდის ჩოგბურთის 6 ბადე სამაგრით, ჩოგბურთის ჩოგნები და ბურთები, ფრენბურთის ბადე და ბურთები. |
| დადასტურება/დანართი | ვიზუალური დათვალიერებით;<br>სასაქონლო ზედნადებებით;<br>ნასყიდობის ხელშეკრულებებით;<br>შენობის აზომვითი ნახაზით. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ....................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ....................

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

| | |
|---|---|
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა.გ" ქვეპუნქტი. |

**დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები**

| | |
|---|---|
| აღწერა | დამოუკიდებელ სკოლა „მოძღვარს" აქვს ფიზიკა, ქიმია და ბიოლოგია-ანატომიის სასკოლო ლაბორატორიების სრული კომპლექტი, რომელიც საჭიროებისამებრ ივსება შესაბამისი მასალით და რეაქტივებით. ლაბორატორიები განთავსებულია ოთახში, რომელშიც დამონტაჟებულია ონკანი, გამწოვი და მის გვერდით არის დიდი ფანჯარა. ლაბორატორიის კაბინეტში განთავსებულია 21 მაგიდა და სკამი. |
| დადასტურება/დანართი | ვიზუალური დათვალიერებით;<br>მოძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულებით;<br>დირექტორთან გასაუბრებით;<br>შესყიდვის დოკუმენტაციით. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა.დ" ქვეპუნქტი. |

**2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები**



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

| | |
|---|---|
| აღწერა | დამოუკიდებელი სკოლა „მოძღვარი" უზრუნველყოფილია ელექტროენერგიის (სს"თელასი") და წყლის (შპს "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი) უწყვეტი მიწოდებით. მოწესრიგებულია სველი წერტილები, სადაც დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. სკოლაში არის 13 სველი წერტილი ბიჭების, გოგონების, პერსონალისა და სსსმ მოსწავლისათვის. საკლასო ოთახები ნათელია და თბება ელექტრო ღუმელებით (22). შენობაში არ არის შეყვანილი გაზი, თუმცა ექვსწლიანი სტრატეგიულ გეგმის თანახმად იგეგმება სკოლის გაზიფიცირება. |
| დადასტურება/დანართი | ვიზუალური დათვალიერებით;<br>გადახდის ქვითრებით. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტი. |

**2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით**

| | |
|---|---|
| აღწერა | დამოუკიდებელ სკოლა „მოძღვარს" აქვს ბიბლიოთეკა, რომელშიც განთავსებულია სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სახელმძღვანელოები, დამატებითი ლიტერატურა ასაკობრივი ჯგუფების შესაბამისად. ბიბლიოთეკა მთლიანობაში მოიცავს 2445 წიგნად ერთეულს.<br><br>გამოკრულია ბიბლიოთეკის მუშაობის განრიგი და სარგებლობის წესები. ბიბლიოთეკაში |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ...............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ...............................

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

| | |
|---|---|
| | განთავსებულია 1 კომპიუტერი, რომელიც უზრუნველყოფილია ინტერნეტით.<br>მხატვრული ლიტერატურა და გრიფირებული სახელმძღვანელოები შესაბამისი წესითაა აღრიცხული და დამუშავებული. გამოიყენება ანბანური კატალოგი. წიგნების სია აკრეფილია ელექტრონულადაც. სკოლა პერიოდულად იძენს მეთოდიკურ სახელმძღვანელოებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიმართულებით. წიგნების გაცემა ხორციელდება სამკითხველო ბარათების საშუალებით.<br>2018 წლისთვის იგეგმება ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის ელექტრონული კატალოგის შექმნა და კომპიუტერებით აღჭურვა. |
| დადასტურება/დანართი | ვიზუალური დათვალიერებით;<br>შესყიდვების დოკუმენტაციით;<br>მიღება–ჩაბარების აქტებით. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი. |

**2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლას ამ ეტაპზე არ ჰყავს სსსმ მოსწავლე. სპეციალური საგანმანათლებო საჭიროების მოსწავლეთა და სხვა პირთა იმ კატეგორიისთვის, რომლებიც საჭიროებენ ეტლით გადაადგილებას, სკოლას დამზადებული აქვს მოძრავი პანდუსი. სკოლის პირველ სართულზე არის ადაპტირებული 1 სველი წერტილი სსსმ მოსწავლისათვის. |
| დადასტურება/დანართი | ვიზუალური დათვალიერებით; |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

| | |
|---|---|
| | ხელშეკრულებით პანდუსის დამზადების შესახებ. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი. |

**2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი ერთიკომპიუტერი (სპეციფიკაციები) არაუმეტეს 20 მოსწავლეზე. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლას აქვს კომპიუტერული კაბინეტი, რომელშიც განთავსებულია ინტერნეტქსელში ჩართული 9 კომპიუტერი. დირექტორის, საქმეთა მმართველის და ბიბლიოთეკის კაბინეტებში განთავსებულია ასევე 2 კომპიუტერი და 2 ნოუთბუქი. საერთო ჯამში სკოლა ფლობს 11 კომპიუტერს და 2 ნოუთბუქს. ხელშეკრულება ინტერნეტის მოწოდებასთან დაკავშირებით გაფორმებულია კომპანია შპს "მაგთიკომთან" სკოლის ვებ-გვერდია: www.modzgvari.edupage.org სადაც იძებნება შემდეგი ინფორმაცია სკოლის შესახებ: მისია, სასწავლო წლის კალენდარი, გაკვეთილების დაწყება-დამთავრების გრაფიკი, სკოლის მიღწევები, განხორციელებული აქტივობების ამსახველი ფოტოები ინფორმეცია სკოლის შინაგანაწესის, სკოლის სტრუქტურის, სტრატეგიული გეგმების და სასწავლო გეგმების შესახებ._ საკომუნიკაციო მიზანს ემსახურება სკოლის ელ-ფოსტაც: skolamodzgvari@yahoo.com და ფეისბუქ -გვერდი დამოუკიდებელი სკოლა მოძღვარი /modzgvari.<br>ექვსწლიანი სტრატეგიულ გეგმის თანახმად იგეგმება სკოლის დამატებითი |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ...............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ...............................

| | |
|---|---|
| | კომპიუტერებით აღჭურვა. |
| დადასტურება/დანართი | ინტერნეტ პროვაიდერთან დადებული ხელშეკრულებით (კომპანია შპს "მაგთიკომი");<br>სკოლის ვებგვერდით - https://modzgvari.edupage.org/;<br>სკოლის ელ-ფოსტით - skolamodzgvari@yahoo.com;<br>ფეისბუქ-გვერდით -დამოუკიდებელი სკოლა მოძღვარი /modzgvari;<br>საინვენტარო აღწერილობით. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტი.<br>დაკმაყოფილებულია „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე" რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 09 აგვისტოს N572 ბრძანების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი. |

**2.6** სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები;

ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები,



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის **2007 წლის 29 აგვისტოს №1143** ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს

| | |
|---|---|
| აღწერა | დამოუკიდებელი სკოლა „მოძღვარის" სამივე სართულზე (რომლებზეც მიმდინარეობს სწავლება) თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმები და განთავსებულია ცეცხლმაქრები (6 ერთეული). პირველ სართულზე კედელზე დამაგრებულია სახანძრო უსაფრთხოების სტენდი. რამდენადაც საევაკუაციო გეგმები არ იყო ახალი მოთხოვნების შესაბამისი, სკოლას მიეცა რეკომენდაცია მათ შეცვლასთან დაკავშირებით, რაც ვიზიტის პერიოდშივე გამოსწორდა. სკოლის დირექტორის ბრძანებით N194 დამტკიცებულია წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.<br><br>სკოლის მოსწავლეთათვის დაგეგმილია სასწავლო შემეცნებითი გასვლითი ტური თბილისის სახანძრო მუზეუმში და იმიტირებული სახაძრო პროცესის მოწყობა.<br><br>სკოლაში არის საჭირო ინვენტარით აღჭურვილი სამედიცინო ოთახი, რომელშიც განთავსებულია სამედიცინო ტახტი, კარადა და ექიმის მაგიდა. სკოლას ჰყავს ექთანი, შემუშავებულია სამედიცინო უსაფრთხოების მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა ინსტრუქცია, რომელიც დამტკიცებულია დამოუკიდებელი სკოლა „მოძღვრის" დირექტორის მიერ. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

| | |
|---|---|
| | სკოლის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს 2 დაცვის თანამშრომელი. მათთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. ვიზუალური დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ სკოლის შენობას და გარე პერიმეტრს აკონტროლებს 11 ვიდეოკამერა - 2 (3 მეგაპიქსელიანი) კამერა აკონტროლებს ცენტრალურ შესასვლელს, 3 კამერა (2 მეგაპიქსელიანი) სათადარიგო შესასვლელს ეზოს მხრიდან, ხოლო დანარჩენი 6 კამერით სკოლის სართულები კონტროლდება. ცენტრალური შესასვლელის კამერები შეესაბამება კანონით მოთხოვნილ სტანდარტს,<br><br>სკოლაში მოსწავლეთა უსაფრთხოებას უზრუნველოფენ, ასევე, დამრიგებლები და მორიგე მასწავლებლები.<br><br>სკოლას ემსახურება 2 მიკროავტობუსი, რომლებსაც სხვადასხვა მიმართულებიდან მოჰყავთ მოსწავლეები სკოლაში. |
| დადასტურება/დანართი | სამედიცინო უსაფრთხოების მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა ინსტრუქცია;<br>ვიზუალური დათვალიერება;<br>სასაქონლო-ზედნადებები;<br>შესყიდვის ხელშეკრულებები;<br>დირექტორთან გასაუბრება;<br>ექიმითან დადებული ხელშეკრულება;<br>საინვენტარო აღწერილობა. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ.გ“ ქვეპუნქტი. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ........................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ........................................

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

**2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები**

| | |
|---|---|
| აღწერა | დამოუკიდებელი სკოლა „მოძღვარს" შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, დებულება, შინაგანაწესი, სტრუქტურული ერთეულების დებულებები: კათედრის დებულება; მონიტორინგისა და ხარისხის მართვის ჯგუფის დებულება; მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება; პედსაბჭოს დებულება; შეფასების ჯგუფის დებულება.<br><br>სკოლის წესდება დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ, დამოწმებულია ნოტარიალურად 2011 წლის 29 ივნისს და გატარებულია ეროვნულ რეესტრში (30.12.2009 წ.).<br><br>სკოლის შინაგანაწესში, (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ-ბრძანება N128 - 06.09.2017) განსაზღვრულია სკოლის სტატუსი, შინაგანაწესის მოქმედების სფერო, სკოლის სტრუქტურული ერთეულები და მათი უფლება-მოვალეობები; მართვის პრინციპები; შრომითი ურთიერთობის წარმოშობა და შეწყვეტა;<br><br>სკოლაში თვალსაჩინო ადგილასაა გამოკრული შინაგანაწესი და მოსწავლეთა ქცევის კოდექსი. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

| | |
|---|---|
| დადასტურება/დანართი | დამოუკიდებელი სკოლა „მოძღვარის" წესდებით;<br>დამოუკიდებელი სკოლა „მოძღვარის" შინაგანაწესით;<br>დამოუკიდებელი სკოლა „მოძღვარის" სტრუქტურული ერთეულების დებულებები. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტი. |

**2.8 შემუშავებულიასკოლისგანვითარებისგრძელვადიანი (ექვსწლიანი) დაერთწლიანისამოქმედოგეგმები, გამომდინარედაწესებულებისმისიიდან, რაცასევეითვალისწინებსმატერიალურირესურსებისეფექტურადგამოყენებისადაგაუმჯობესებისმექანიზმებს**

| | |
|---|---|
| აღწერა | დამოუკიდებელი სკოლა „მოძღვარის" მიერ შემუშავებულია 2017 -2018 სასწავლო წლის ერთწლიანი და 2017-2023 წლების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) გეგმები. ერთწლიანი გეგმა შემუშავდა გასული სასწავლო წლის შედეგების SWOT ანალიზის შედეგად.<br>გეგმებში გათვალისწინებულია სკოლის საჭიროებები სხვადასხვა მიმართულებით:<br>• საკანონმდებლო ბაზა;<br>• სასკოლო სასწ. გეგმის და სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლების სამუშაო გეგმა;<br>• ბიბლიოთეკის პროგრამა;<br>• ორგანიზაციული ღონისძიებები;<br>• პედაგოგებთან მუშაობის ორგანიზება; |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

| | |
|---|---|
| | • შიდა სასკოლო მონიტორინგი;<br>• მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება.<br>სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასაუმჯობესებლად სკოლა გეგმავს: სკოლის ეზოს, სპორტული ბაზის და საკლასო ოთახების კეთილმოწყობას, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების განახლებას, სასკოლო რადიოკვანძის შექმნას, ელექტრონული დაფების შეძენას, დერეფნების ინდივიდუალური კარადებით აღჭურვას, სკოლის გაზიფიცირებას- ცენტრალური გათბობით უზრუნველყოფას, ბიბლიოთეკის კომპიუტერებით აღჭურვას, საცურაო აუზის აშენებას და სხვა. |
| დადასტურება/დანართი | დამოუკიდებელი სკოლა „მოძღვარის" SWOT-ანალიზი;<br>დამოუკიდებელი სკოლა „მოძღვარის" 2017-2023 წლების ექვსწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა;<br>დამოუკიდებელი სკოლა „მოძღვარის" 2017-2018 წლების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტი. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

**2.9** დაწესებულებაშიმიმდინარეობსგამოცემულიაქტებისადაკორესპონდენციისაღრიცხვა

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლაში შემუშავებულია საქმისწარმოების ერთიანი წესი. სკოლის საქმეთა მმართველი, რომელთანაც გაფორმებულია ხელშეკრულება, პასუხისმგებელია შემოსული და გასული კორესპონდენციების აღრიცხვის, მეცნიერებისა და განათლების სამინისტროდან და რესურს ცენტრიდან შემოსული დოკუმენტაციის, საკადრო ბრძანების წიგნების, მოსწავლეთა ჩაწერის ანბანური წიგნისა და დასაქმებულთა პირადი საქმეების წარმოებაზე.<br><br>ჟურნალები აკინძულია, ზონარგაყრილია, დანომრილია, დალუქულია და დამოწმებულია სკოლის ბეჭედითა და დირექტორის ხელმოწერით. |
| დადასტურება/დანართი | საქმისწარმოების ერთიანი წესი;<br>საკადრო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი;<br>შემოსული დოკუმენტაციის რეგისტრაციის ჟურნალი;<br>გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციის ჟურნალი;<br>დირექტორის ბრძნებების ჟურნალი;<br>შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი;<br>მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი;<br>სხვა სახის ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი;<br>ცნობების გაცემის რეგისტრაციის ჟურნალი მოსწავლეთათვის;<br>პირადი საქმეები |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ....................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ....................

| | |
|---|---|
| | პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი. |

## III. ადამიანური რესურსი

**3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი**

| | |
|---|---|
| აღწერა | შპს დამოუკიდებელ სკოლა „მოძღვარში“ მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზის მიხედვით ირიცხება 154 მოსწავლე. სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი. სკოლაში სულ 47 თანამშრომელია. მათ შორის 26 მასწავლებელი. გარდა ამისა სკოლის ადამიანურ რესურსს წარმოადგენს დირექტორი, 2 მოადგილე, ბიბლიოთეკარი, ფსიქოლოგი, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, პიარ მენეჯერი, ექიმი, მძღოლი, 2 დარაჯი. |
| დადასტურება/დანართი | მოსწავლეთა მართვის საინფორმაციო ბაზა;<br>მასწავლებლების მართვის საინფორმაციო ბაზა. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................

სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად

3.2

| | |
|---|---|
| აღწერა | მასწავლებელთა სკოლაში დასაქმება რეგულირდება "ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის შესაბამისად.<br>პირადი საქმეების გადამოწმებისას აღმოჩნდა, რომ: 26 მასწავლებლიდან 7-ს უფროსი მასწავლების სტატუსი აქვს, 15 პრაქტიკოსი მასწავლებელია, 4 მასწავლებელი (სპორტის, ხელოვნების, მუსიკისა და ფიზიკის) არ არის ჩართული სქემაში, დანარჩენი 4 მასწავლებელი შემცვლელი მასწავლებლის სტატუსით, დროებითი ხელშეკრულების საფუძველზე ასრულებს საგანმანათლებლო საქმიანობს.<br>უნდა აღინიშნოს რომ სკოლაში მომუშავე მასწავლებლები თავისი კვალიფიკაციით შეესაბამებიან დაკავებულ თანამდებობებს, ყველა მასწავლებელს აქვს კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი (დიპლომი). |
| დადასტურება/დანართი | მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზა;<br>სტატუსის გარეშე მასწავლებლების პირადი საქმეები;<br>თანამშრომელთა პირადი საქმეები. |
| შეფასება | **ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-5 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

**3.3** სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლის პედაგოგთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესს არეგულირებს სკოლის შინაგანაწესის III თავი, სადაც განსაზღვრულია თანამშრომელთა მიღების წესი, წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი, ასევე ის ეტაპები, რომელებიც კონკურსანტმა უნდა გაიაროს ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად. სკოლის პედაგოგები შეირჩევიან კონკურსის წესით. თავისუფალი ვაკანსიის შემთხვევაში ინფორმაცია თავსდება სკოლის ვებ-გვერდზე.<br><br>თანამშრომელთა წახალისებისა და სამსახურიდან გათავისუფლების წესებს არეგულირებს შინაგანაწესი. პედაგოგის წარმატებული საქმიანობისათვის განსაზღვრულია წახალისების შესაბამისი ფორმები: მადლობა, პრემია ან ფულადი ჯილდო. თანამშრომლის გათავისუფლება ხდება შრომითი ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის საფუძველზე, არადამაკმაყოფილებელი შედეგის, ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობების შეუსრულებლობის, სკოლის შინაგანაწესის, დისციპლინარული გადაცდომის, მასწავლებლის პროფესიული ეთიკის ნორმების დარღვევის შემთხვევაში. შეუსაბამობების გამოვლენისთანავე სკოლას შემუშავებული აქვს სანქციების შესაბამისი ფორმები: შენიშვნა, საყვედური, სასტიკი საყვედური, სკოლიდან დათხოვნა. |
| დადასტურება/დანართი | სკოლის შინაგანაწესი;<br>ინტერვიუირება. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

| | |
|---|---|
| | და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით. |

## 3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლის ყველა პედაგოგთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია www.modzgvari.edupage.org www.modzgvari.edupage.org ერთწლიანი ხელშეკრულებები, რომლებშიც განსაზღვრულია ხელშეკრულების ზოგადი დებულებები, ხელშეკრულების საგანი, მხარეთა უფლებები და მოვალეობები, სამუშაო დრო და შრომის ანაზღაურება, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შრომითი ურთიერთობების გაწყვეტა, დამატებებითი ვალდებულებები, მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერა. შრომით ხელშეკრულებები დანომრილია და გატარებულია აღრიცხვის ჟურნალში. |
| დადასტურდება/დანართი | პედაგოგთა პირადი საქმეები;<br>ხელშეკრულებები. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-5 მუხლის „დ“ ქვეპუნქტით. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

### მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

**3.5** სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლას განვითარების სტრატეგიულ გეგმებში წარმოდგენილი აქვს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები. ამავდროულად სკოლა ჩართულია „მასაწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში". არსებობს დირექტორის მიერ დამტკიცებული ბრძანება სკოლის შიდა შეფასების ჯგუფის შექმნის შესახებ;<br><br>შეფასების ჯგუფის წევრების, მათ შორის ფასილიტატორის არჩევა დასტურდება კათედრების შესაბამისი ოქმებით.<br><br>სკოლას გააჩნია შიდა შეფასების ჯგუფის დებულება. პედაგოგები გადანაწილებულები არიან სქემის შესაბამისი საფეხურების მიხედვით; კათედრის სხდომებზე განიხილება ურთიერთთანამშრომლობის საკითხები, პედაგოგები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, რომლის ფარგლებშიც ერთმანეთს აძლევენ განმავითარებელ შეფასებას. მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე აქტიურად ზრუნავს სკოლის ხარისხის მართვის ჯგუფი. გარდა ამისა, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ტარდება ტრენინგები, რომლებშიც აქტიურად არიან ჩართულნი სკოლის თანამშრომლები, მათ მიერ დაგროვებული კრედიტქულები ასახულია eschool-ის საინფორმაციო ბაზაში. |
| დადასტურება/დანართი | პროფესიული განვითარების ხელშეწყობისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმების დოკუმენტი;<br>სკოლის განვითარების სტრატეგიული გეგმები; |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

| | |
|---|---|
| | კათედრების საქაღალდეები;<br>ხარისხის მართვის მენეჯერის ანგარიშები;<br>გამოკითხვები; |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-5 მუხლის „ე" ქვეპუნქტით. |

**3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, სასკოლო საზოგადოებაში პასუხისმგებლობი გადანაწილებულია. სკოლის შინაგანაწესში გაწერილია სკოლაში დასაქმებული სხვადასხვა თანამდებობის პირთა უფლება–მოვალეობები, რომლის მიხედვითაც ხდება სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის შესაძლებლობათა გამოვლენის ხელშეწყობა.<br><br>სკოლაში მოქმედებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც არჩევითი ორგანოა, წარმოადგენს სკოლის სტრუქტურულ ერთეულს და აერთიანებს საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებს. მოსწავლეების ინტერესების გათვალისწინებითი შექმნილია სხვადასხვა კლუბები და წრეები: "მხარეთმცოდნეობის კლუბი"; „თეატრალური კლუბი"...<br><br>ინტერვიურების დროს მასწავლებლები და დირექციის წევრები აღნიშნავდნენ, რომ სკოლა ხშირად გეგმავს ერთობლივ ექსკურსიებს და კულტურულ ღონისძიებებს, |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..................................

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

| | |
|---|---|
| | რომლებშიც სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლი აქტიურად არის ჩართული. |
| დადასტურება/დანართი | სკოლის ვებ- გვერდი;<br>ფოტო და ვიდეო მასალა;<br>ინტერვიუები. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-5 მუხლის „ვ" ქვეპუნქტით. |

25.12.2017 წ.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................